საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №60/ნ
2013 წლის 31 მაისი

ქ. თბილისი

„უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით (სსმ 09.01.2007, N3, მუხ. 22) დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პოგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) მე-3 მუხლის 1^1 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-4 მუხლის მე-15 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-5 მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი — **გიორგი მარგველაშვილი**